# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

## ბრძანება N 2-322

26/04/2022

ქ. თბილისი

**თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. კვახჭირში შპს ,,მანგანეზ ინდასთრის“ ფეროშენადნობის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის I დანართის მე-5 პუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. კვახჭირში შპს ,,მანგანეზ ინდასთრის“ ფეროშენადნობის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N 16 (4.04.2022);
2. შპს ,,მანგანეზ ინდასთრიმ” სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N16 (4.04.2022) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,მანგანეზ ინდასთრის“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,მანგანეზ ინდასთრის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და თერჯოლის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი